ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 270

11 სექტემბერი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.027.029) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ა.ლორდისთვის'' (ს/კ 404521111) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.027.029) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ა.ლორდისთვის'' (ს/კ 404521111) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 22 აგვისტოს №18.697.1021 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.027.029) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ა.ლორდისთვის'' (ს/კ 404521111) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2700 (ორი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**